საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე II

იოანე II, ტრაპიზონის მეფე (1266–97).

ბიზანტიის კეისარმა მიხეილ პალეოლოგოსმა ტრაპიზონის სამეფოს თავისი პოლიტ. გავლენის ქვეშ მოქცევის მიზნით ი. II-ს ქალიშვილი შესთავაზა თანამეცხედრედ, მოტყუებით კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა და განუცხადა, რომ მას უფლება არ ჰქონდა თავისი თავისთვის კეისარი ეწოდებინა და კეისრისათვის განკუთვნილი შესამოსელ-ნიშნები გამოეყენებინა. ტრაპიზონის საკეისროს, რ-ის მოსახლეობა უმთავრესად ქართველური ტომის – ლაზების ანუ ჭანებისაგან – შედგებოდა, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1282 აპრილში საქართვ. მეფემ, დავით VI ნარინმა, ილაშქრა ტრაპიზონის სამეფოში და, თუმცა ტრაპიზონის აღება ვერ შეძლო, საკეისროს დიდი ნაწილი დაიპყრო. 1284 საქართველოში გათხოვილი ი. II-ის და – თეოდორა – დავით VI-ის ჯარის დახმარებით ტრაპიზონში შეიჭრა და კეისრის ტახტი დაიკავა. საკეისრო საქართველოს *პოლიტ.* გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ შემდეგში ვითარება შეიცვალა და ი. II-მ ხელისუფლება დაიბრუნა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

ლ. მანიავა.